| *ინდიკატორი N 2.2.1.1* | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **საბუნებისმეტყველო საგნები:**<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ფარგლებში უფრო თვალსაჩინოდ აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვის კონკრეტული ელემენტები, მათ შორის თემების მიხედვით აქტივობების, შეფასების ფორმებისა და რესურსების უფრო მკაფიო კავშირი, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კურიკულუმსა და პრაქტიკულ განხორციელებას შორის თანხვედრას.<br><br>**მათემატიკა:**<br>**რჩევა:** სასურველია ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება საგნობრივი კათედრის ფარგლებში შეთანხმდეს, რათა პროცესი უფრო ერთიანი და ეფექტური იყოს. |
| *ინდიკატორი N 2.2.1.3* | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br><br>**რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად კურიკულუმებში თემების მიხედვით უფრო მკაფიოდ აისახოს შეფასების ფორმები და შესაბამისი კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უკეთ ინტეგრაციას სწავლა-სწავლების პრაქტიკასთან. ასევე სასურველია უფრო თვალსაჩინოდ განისაზღვროს თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გამოყენების მექანიზმები, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების გამჭვირვალობასა და მოსწავლის ჩართულობას შეფასების პროცესში. |

| | | |
|---|---|---|
| | | **მათემატიკა:**<br>**რჩევა:** მნიშვნელოვანია, რუბრიკები თემის დაწყებამდე გაეცნოთ მოსწავლეებს, ხოლო მათი ჩამოყალიბების სტილი იყოს მკაფიო, რათა გაიზარდოს პროცესის გამჭვირვალობა ამასთან ყურადღება მიაქციეთ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს.<br><br>**უცხოური ენები:**<br><br>უცხოური ენების ნაწილში სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გაიცემა **რჩევა:** სასურველია კათედრამ მოახდინოს შედგენილი განმავითარებელი რუბრიკების მეტად გააზრება და გამოყენებული იყოს საერთო მიდგომა ორივე უცხოურ ენასთან მიმართებით. |
| *ინდიკატორი N 2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>**რჩევა:** სასურველია, რესურსების სვეტში საშუალო საფეხურზე უფრო გამოკვეთილად აისახოს თითოეული რესურსის ფუნქცია სასწავლო პროცესში. |
| *ინდიკატორი N 2.2.2.2* | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br><br>**რჩევა:** სასურველია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი უფრო მკაფიოდ აისახოს დოკუმენტურად, მათ შორის განისაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების მიდგომები და რესურსების პერიოდული გადახედვის მექანიზმები. ასევე სასურველია |

| | | |
|---|---|---|
| | | კურიკულუმში უფრო თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი, რა პრინციპებით ხდება კონკრეტული რესურსის შერჩევა და როგორ უზრუნველყოფს იგი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. |
| *ინდიკატორი N 2.2.2.3* | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br><br>**რჩევა:** სასურველია ლაბორატორიული რესურსების ეტაპობრივი გაძლიერება, მათ შორის შესაბამისი აღჭურვილობის (მაგალითად, გამწოვი კარადის) დამატება, რაც უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვანი და უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩატარებას. ასევე სასურველია კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს, რომელი ტიპის პრაქტიკული აქტივობები ხორციელდება არსებული რესურსების გამოყენებით და როგორ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების პირობები სასწავლო პროცესში. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ( MES 7 26 0000525642, 04/05/2026) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და უკვე განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. სკოლამ ამასთანავე წარმოადგინა უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც ინდიკატორები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

( 1-ლი სტანდარტი - ინდიკატორი - *N 1.1.1.1. ინდიკატორი N 1.1.1.2. ინდიკატორი N 1.2.1.1. ინდიკატორი N 1.2.2.1.* მე-3 სტანდარტი, *ინდიკატორი N 3.1.2.4. მე-2 სტანდარტი, ( დაწყებითი/საბაზო /საშუალო საფეხური.) ინდიკატორი 2.2.2.4 ინდიკატორი 2.2.1.4 )*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლამ მკიტცებულებად წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის გეგმა, რომელშც დეკლარირებულია სკოლის მისია და ხედვა. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლის მისიაა შექმნას მოტივირებული და კონკურენტული სასწავლო გარემო, სადაც შესაძლებელი იქნება მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება. წარმოების პროცესში ადმინისტრაციამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასევე დეკლარირებული იყო სკოლის მისია და ხედვა, თუმცა დადგინდა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში სხვა ნარატივი იყო წარმოდგენილი. სკოლის შენობის დათვალიერებისას ასევე დადგინდა, რომ სკოლაში გამოკრული მისია/ხედვის ამსახველი დოკუმენტი სხვა შინაარსის შემცვლელ ნარატივს ასახავდა, რომელიც არ ემთხვეოდა სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთულ და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებულ ტექსტს. **ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული მისია/ხედვის შექმნის ამსახველი მასალები** ( სამოქმედო ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომელიც სკოლის განმარტებით მუშაობდა მისია/ხედვის/ღირებულებების შექმნაზე. ) **ვერ წარმოადგინა კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნისა და გაზიარების მტკიცებულებები. თვითშეფასებაში სკოლა განმარტავდა, რომ 2026-2027 წლისთვის სკოლა აპირებდა ახალი მისია/ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას,** რომელიც ორიენტირებული იქნება სკოლის თვისობრივი მახასიათებლების გამოკვეთაზე. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ კვლევის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნას მამოტივირებელი, უნიკალური და მკაფიო მისიისა და ხედვის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ასახავს სკოლის მიზნებსა და მიზნის მიღწევის ხედვას.**

**სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტები;** სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ცვლილებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება N 01-03/25, 23/04/2026. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ჯგუფის ოქმი N 2 ( 28 აპრილი, 2026 წელი ) რომლითად

დგინდება, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა კვლევის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნა მისიისა და ხედვის ამსახველი დოკუმენტი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლის მიზნებსა და მიზნის მიღწევის ხედვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით **1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

ვიზიტის დროს სკოლის დათვალიერებით, ჩატარებული ინტერვიუებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა, რომ სკოლაში ნამდვილად არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები. ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები ( სკოლის შინაგანაწესი) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სკოლას დოკუმენტურად არ აქვს შემუშავებული ერთიანი ტექსტი - მისია/ხედვა და ღირებულებები.

**სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტები;** სსიპ თემურ **ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ცვლილებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება N 01-03/25, 23/04/2026. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ჯგუფის ოქმი N 2 ( 28 აპრილი, 2026 წელი ) რომლითად დგინდება, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა კვლევის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნა მისიისა და ხედვის ამსახველი დოკუმენტი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლის მიზნებსა და მიზნის მიღწევის ხედვას.**

აღნიშნულის გათვალისწინებით **1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტები; მისია/ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში სკოლა აღწერს, რომ დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის მისია და ხედვა, ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული

ინდიკატორის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშავოს მისია/ხედვა და ღირებულებები, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იქნება შექმნილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტებით ადასტურებს, რომ აქვს გაზიარების პრაქტიკა; სკოლა მექანიზმები; მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2025-2026 წწ სასკოლო სასწავლო გეგმა). სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე (skolebi.emis.ge) და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე; მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ვერ ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის ერთიან დოკიუმენტს, სკოლას აქვს პრაქტიკა, სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გააზიაროს სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტები. **1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
**1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულას საჯარო სკოლა“. აღნიშნული ფორმულირება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას და ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას, რომელიც განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსსა და საჯარო სკოლის წესდების სტანდარტულ ფორმას. **1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ვებ-გვერდი

**შეფასება:**
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა აღნიშნულ მტკიცებულებას არ ჰქონდა დოკუმენტის სახე. იგი იყო ზოგადი, შაბლონური სახის მასალა, რომელიც ასახავდა მეთოდოლოგიის შექმნის პრინციპებს. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისად მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.
**სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტები; დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით ( 01-03/26, 24.04.2026 წ.) დამტკიცებული სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.**
აღნიშნულის გათვალისწინებით **1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2023 წლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბრის N-01- სხდომაზე), რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. **1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

.

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წ. დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 13 სექტემბრის N-02 სხდომაზე.) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და ეტაპებს. დოკუმენტი პასუხობს კითხვაზე თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს დაგეგმილი აქტივობები.

შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. **1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად **1. 2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.2.1 სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.
1.2.2 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
1.2.3 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით **1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას არა აქვს შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია. გამომდინარე იქედან, რომ სტარტეგიული სამოქმედო გეგმა არის 2023 წელს დამტკიცებული, ვიზიტის დროს ექსპერტები დაინტერესდნენ მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებით. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა განახორციელოს და შეაფასოს სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. სკოლის ადმინისტრაციამ ექსპერტებს გაუზიარა სამოქმედო გეგმის ზეპირი ანგარიში, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ანგარიშის სრულფასოვან მომზადებას, კერძოდ: გეგმირებული აქტივობების შესრულების შედეგების დამადასტურებელი მასალები; პასუხისმგებელი პირების შუალედური და საბოლოო ანგარიშები. ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.
**შესაბამისად 1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავება და მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვი.**1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.2.2.1. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
1.2.2.3 სკოლის ფეისბუქ გვერდი და ვებ გვერდი
1.2.2.4 პედ. საბჭოს ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი და დირექტორის ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''. **3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,სკოლის სტრუქტურა" გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობების, საშტატო განრიგის და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას. **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის დოკუმენტები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ და ბრძანება თვითმმართველობის დებულების შესახებ.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის: სკოლის წესდების, შინაგანაწესის მიხედვით და პერსონალთა გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას, სამუშაო და დასვენების დროს და შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, წახალისებას და დისციპლინურ პასუხისმგებლობის სახეებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება ახალი თანამშრომლის-მასწავლებლის აყვანა (შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ - თან. 20 აგვისტო, 2019 წ)

**3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge-ზე განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი

ფუნქციების დელეგირება სხვა დასაქმებულზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის (კანონიერ წარმომადგენლის) მიერ. აგრეთვე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი.
სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. **სკოლას მიეცა რჩევა**, გაწეროს პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **სკოლას მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს და დაამტკიცოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას არა აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ შექმნას და დაამტკიცოს დოკუმენტი, სადაც გაცხადებული ექნება ადამიანური რესურსების მოზიდვისა და შენარჩუნების თანმიმდევრული პროცესი. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. **თუმცა, სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით და მასწავლებელთა ვაკანსიის ვებ.გვერდის (teacherjobs.ge-ზე) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსები რამდენიმე შემთხვევაში იყო დარღვეული. კერძოდ, დარღვეული იყო ვაკანსიაზე განაცხადის**

**წარდგენის ვადები. საქმისმწარმოებლის ვაკანსია გამოცხადდებული იყო სხვა თარიღით ( 2025 წ. ) ხოლო რელაურად ხელშეკრულება იმავე თანამშრომელთან გაფორმებული იყო 2024 წლის 22 იანვრიდან. დოკუმენტაციისა და ვაკანსიის პირობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დარღვეულია კანონმდებლობით განსაზღვრული საკონკურსო განაცხადებების წარდგენის ვადები.** შერჩევითობის პრინციპით თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ნასამართლობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 10 ივნისი - 2026 წლის 10 სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

**აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

.

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 30 თანამშრომელი. მათგან საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 23 მასწავლებელი ( 2 მენტორი, 3 წამყვანი, 1 მაძიებელი და 4 უსტატუსო, 1 სპეციალური მასწავლებელი), ადმინისტრაციულ თანამდებობაზეა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი. **დაწესებულებას განსაზღვრული არ ჰქონდა ჰქონდა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. აღნიშნული პედაგოგების პირადი საქმებეების შესწავლით დადგინრა, რომ ხელშეკრულებები სტატუსის არ მქონე პედაგოგებთან არ არის დადებული კანონთან შესაბამისობაში და ამასთანავე, მათი საათობრივი ანაზღაურება 9 საათზე მეტია.**
რაც შეეხება მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს, სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/ ) გადამოწმების შედეგად და სკოლის მიერ მოწოდებული სხვადასხვა საკონკურსო კომისიის მასალებით დადგინდა, რომ სკოლას, კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, სწავლის დაწყებამდე გამოცხადებული ქონდა

სხვადასხვა ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი ადგილების დასაკავებლად. თუმცა წარმოების პროცესში არ იყო გამოცხადებული ვაკანსია შესაბამის პოზიციებზე.

**ვიზიტის დასრულების შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის 10 ივნისი - 2026 წლის 10 სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით **3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა -კომისიის შექმნა, გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება, პედაგოგიური საბჭოს, კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ

განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, პრემირება. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ასევე წარმატებით უზირებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის ან სერტიფიკატის გადაცემით. **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა პირადი საქმეები და სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრის ანგარიშები;
- მასწავლებლთა სასწავლო ჯგუფების შეხვდრისოქმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- მართვის სინფორმაციო სისტემის მონაცმები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაც ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **სკოლას მიეცა რჩევა**, შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომლის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ბრძანებით დამტკიცებული. ამასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტი იყო ზოგადი, შაბლონური ხასიათის. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ აღნიშნული ზოგადი დოკუმენტი მოარგოს უშუალოდ ამ სკოლას და დაამტკიცოს შესაბამისი წესით. სკოლამ წარმოაგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ( ბრძანება N 01-03/15, 13 სექტემბერი, 2025 წელი) თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სკოლას არა აქვს შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაითვლება რელევანტურად. ამასთანავე, აღნიშნულ ბრძნებაში მითითებულია ჯგუფის ისეთი საქმიანობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აღარ ხორციელდება; პუნქტი 3; ,, უფროსი მასწავლებელის შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 3 და მეტ გაკვეთილზე (საჭიროებიდან გამომდინარე), წამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში – არანაკლებ 2 გაკვეთილზე, მენტორი მასწავლებლის შემთხვევაში კი – არანაკლებ 1 გაკვეთილზე დაკვირვება და შეფასება.“ - **სკოლას**

**მიეცა რჩევა**, რომ ხარისხის ჯგუფის საქმიანობა მიუსადაგოს მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შიდა დოკუმენტებს ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. **3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს პერსონალის განვითარების პოლიტიკას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მასწავლებლებზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე მასწავლებელთა საჭიროებებს დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვასა და წარმართვას. სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგების საჭიროებიდან გამომდინარე ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგსა და ვებინარებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება ხარისხის განვითარების ჯგუფის დამტკიცების შესახებ. ინტერვიუების დროს პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ჯგუფის წევრები მიზანმიმართულად მუშაობენ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე, რაც მოიცავს როგორც პედაგოგიური საქმიანობის შეფასებას, ასევე მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ინტერესებისა და გამოწვევების გამოვლენას. **3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა ქმნის პირობებს, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება იყოს უწყვეტი და მიზანმიმართული. ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომლების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი ცოდნისა და უნარების სრულყოფაზე, რაც განაპირობებს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გაცნობასა და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს ორი მენტორი და სამი წამყვანი სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ სასკოლო საზოგადოებაზე. სკოლაში ხშირად იმართება შიდა სასკოლო კონფერენციები. მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი იყო მრავალი სერტიფიკატი, რომლებიც ადასტურებს მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროცესში ჩართულობას. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა კოლეგებს შორის, რაც სისტემურად უზრუნველყოფს პედაგოგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, ძლიერი მხარეების გამოვლენას და გაუმჯობესების საჭიროებების დადგენას.

აღნიშნული პრაქტიკა კიდევ უფრო ამყარებს სკოლაში თანამშრომლურ კულტურას და ზრდის პროფესიული განვითარების ხარისხს. **3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლის ფარგლებშიც სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო პროფესში. თუმცა სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ ახალი თანამშრომლის წარდგენა კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე/ მასწავლებელთა თათბირზე, პედაგოგის დამატება სკოლის თანამშრომელთა დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის მხრიდან თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის ფაქტი დაადასტურეს სკოლის მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს. ახალდანიშნულ თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში: მათ ეცნობებათ სკოლის ღირებულებები, მიზნები, შინაგანაწესი და პროფესიული ვალდებულებები, ასევე განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და განვითარების პერსპექტივები. პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ახალბედა კადრებმა სკოლის ბაზაზე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გაიარონ შეფასება. თანამშრომელთა ადაპტაცია-ორიენტაციის სისტემა უზრუნველყოფს როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ ინტეგრაციას, რაც ზრდის მოტივაციას, აუმჯობესებს სამუშაო გარემოს და ამყარებს კოლეგიალურ ურთიერთობებს. **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში აღწერილია თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება, შესაბამისად, **3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ
- საგნობრივი კათედრის ოქმები.
- ბრძანება ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა ტრენინგმოდულების დამადასტურებელი სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფის სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვას ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისად. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ბრძანებით დამტკიცებული, ამასთანავე ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალა იყო ზოგადი შაბლონური ხასიათის, რომელშიც გაწერილი იყო რეკომენდაციები თუ როგორ უნდა მოერგო აღნიშნული შაბლონი სკოლას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და იგი მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს, რომელიც მოაზრებს ხარისხის უზრუნველყოფას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებს, სკოლაში სწავლა-სწავლებისა ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორებს. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ბრძანებით დაამტკიცოს წარმოდგენილი დოკუმენტი. **3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული და დოკუმენტურად აღწერილია ყველა ის პროცესი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვასთან. იდენტიფიცირებულია მმართველობითი პროცესები, ძირითადი პროცესები (სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, სასწავლო პროგრამების განხორციელება.) სკოლას ასევე შემუშვებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი ( ბრძანება N 01-03/20.23.12.2025 წ.) **3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილია, რომ დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმაც, რაც შეეხება მასწავლებლებს - დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. გამომდინარე იქედან, რომ სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების,

მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, **3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში თანაბრად სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით. სკოლას პერსონალთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. პერსონალთნ გაფორმებული ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი, რაც განაპირობებს შინაგანაწესის გაცნობას. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს. ადმინისტრაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები ადასტურებს, რომ მშობლები და მოსწავლეები მუდმივად ინფორმირებულნი არიან დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (faceebook - მშობლებთან და მოსწავლეებთან სპეციალური ფორმით შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დოკუმენტი), სადაც რეგულარულად ქვეყნდება განცხადებები, სიახლეები და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. **3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელშიც გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. **3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინურ კომიტეტის არჩევასთან დაკავშირებით;

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი განსაზღვრის თაობაზე ;
- მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია გარეშე პირთაგან. შეზღუდულია ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სკოლაში ფიზიკურ უსაფრთხოებას მიკუთვნებულ საკითხებს. 06/ნ ბრძანების შესაბამისად პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მიწერილობა **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, თუმცა სკოლას არა აქვს შეთანხმებული და ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების გეგმა.**

**სკოლას არა აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებებთან შენობა-ნაგეგბობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლას არ ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრაციამ ბრძანებით განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებული იქნება განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები დაცვა.**

2025 წლის 9 დეკემბერს სკოლის ტერიტორიაზე დაიწვა საქვამე, დამწვარი სახურავის თუნუქი სტატიონის გვერდით ყრია სკოლის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ **დაყრილი თუნუქის სახურავი შემოსაზღვრულია ლენტით, თუმცა იგი არ შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლის ტერიტორიაზე დაცული იყოს ადამიანის უსაფრთხოება.** სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა MES 9 25 0001781037, 12.12.2025. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანისთან, რომლის საფუძველზე სკოლა ითხოვს ცენტრალური საქვაბე მილის დამონტაჟებას.

**სკოლა იცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უსაფრთხოებას.** მოსწავლეების საგაკვეთილო დროიდან გათავისუფლება ხდება მშობელთან შეთანხმებით და იწარმოება მოსწავლის მიერ სკოლის დატოვების და სკოლაში დაბრუნების აღრიცხვა. დამრიგებლის ფუნქციაა მშობლის მყისიერი ინფორმირება მოსწავლის დაგვიანების და/ან არ გამოცხადების შესახებ. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზღაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი.

**ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ ბრძანებით განსაზღვრა სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა ფოტოები მტკიცებულებების სახით, რომლითაც დასტურდება, რომ მოწესრიგებულია სკოლის ეზო.**

**წარმოების პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 20.04.2026 წ . - 10.09.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, **3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია შეიმუშავოს პირველადი დასამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსი გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის პოზიციაზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი'' ვერ მოიძებნა. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად, წარმოადგინა ოფიციალური წერილი და დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომლიტაც დასტურდება ექთნის შტატის არსებობა სკოლაში. გამომდინარე აქედან აღნიშნულ პოზიციაზე დაწესებულებამ მიიღო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი.

**3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ

ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი. ( ბრძანება N 01-03/02. 2019 წ. 23 იანვარი ) სკოლას შედგენილი აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგიც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

**3.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. შესაბამისად **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი. სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები; არის საპონი, ხელსახოცი, ურნა. სკოლას წყალი მიეწოდება უწყვეტად. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6 . სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. **შესაბამისად მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს.** სკოლას არ ჰყავდა ბრძანებით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. **სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერები. (12 ვიდე კამერა) წარმოების პროცესში ვიდეო-მონიტორი განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებზე წვდომის უფლება ჰქონდეს ბრძანებით განსაზღვრულ პირს.**

**ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ შეიმუშავა პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის მონაცემების დამუშავების საკითხებს.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 15.04.2026 წ - 10.12.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

**3.4.1.6 ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ადმინისტრაციის განცხადებით, დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვისა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ვიზიტის შემდგომ შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N 01-03/27 - პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგადი წესი. **აღნიშნულიდან გამომდინარე 3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე. იგი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის სკოლაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემს რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით და შედეგებს ითვალისწინებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობესებლად. **3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულება მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხარაულაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ფაქტობრივი მისამართია სოფელი ხარაულა, ქუჩა N 1. დაზუსტებული ფართობია 4000.00 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობების მიხედვით არის: 2152.20 (საკადასტრო კოდი N 21.09.35.012 ). სკოლის შენობა სამსართულიანია. სულ საკლასო ოთახების რაოდენობაა 15. მე-2 სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების ლაბორატორია. 1-ელ სართულზე სამედიცინო კაბინეტი, რესურს-ოთახი. სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექტორის, ადმინისტრაციის, ბუღალტრის ოთახები. 1-ელ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და პერსონალისათვის. სკოლაში არის შიდა სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი. სკოლის ეწო მოწესრიგებულია. ეზოში განთავსებულია მოწესრიგებული სპორტული მოედანი მწვანე საფარით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის ტერიტორიაზე დაიწვა საქვაბე. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია შენობა, სადაც დახურული სპორტული მოედანია. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები. ამჟამად სკოლაში სწავლობს 47 მოსწავლე.

**3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატრიალური რესურსები ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრისათვის. კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, კომპიუტერულ კლასში. სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში.
საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მდებარეობს შენობის მე-2 სართულზე. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. თუმცა ლაბორატორიაში არ იყო გამოკრული ქცევის წესები, არ იყო გაწერილი სამუშაო საათები. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ლაბორატორიით სარგებლობის წესები გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას.
შენობის 1-ელ სართულზე მდებარეობს რესურს-ოთახში. წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო და საგნობრივი კაბინეტები. შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონლით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განსახორციელებლად.
**აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალა იყო ზოგადი ხასიათის და არ იყო ბრძანებით დამტკიცებული. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული და შესაბამისი წესით დამტკიცებული ბიბლიოთეკით საქმიანობის ერთწლიანი სამუშაო გეგმა. სკოლის დირექტორისა და ბიბლიოთეკარის განმარტებით, სკოლას მიღება-ჩაბარების აქტით სოფლის ბიბლიოთეკისგან გადმოეცა დიდი წიგნადი ფონდი. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, თუმცა დიდი ნაწილი არ იყო აღრიცხული და თაროებზე არ იყო განლაგებული კატალოგის მიხედვით. ბიბლიოთეკაში არ იყო გამოკრული შესაბამისი წესები და სკოლას არ ჰქონდა წარმოებული კატალოგი შესაბამისი წესით. **შესაბამისად მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სრულად აღრიცხოს და შესამისი წესით აწარმოოს კატალოგი.**
**სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება 01-03/28 - ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა - საბიბლიოთეკო წესით წიგნების სრულად აღიცხვა და შესაბამისი წესით კატალოგის წარმოება - უნდა მოწესრიგდებ 20.04.2026 წ . - 10.12.2026 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე 3.5.1.3. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

შენობის ცენტრალურ შესასვლელში განთავსებულია მაღალი კიბეები, რომელსაც არა აქვს პანდუსი. სკოლის შიდა სივრცეებში არ არის პანდუსი ან/და ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში შშმ პირი არ ირიცხებოდა). ეტლით მოსარგებლე პირის არსებობის შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი საკლასო ოთახები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. **შშმ პირის არსებობის შემთხვევაში სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ შექმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 10.05.2026 წ . - 10.04.2028 წ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**

**3.5.1.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს და საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვან წარმართვას უზრუნველყოფს 17 ერთეული კომპიუტერით. 5 ერთეული განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კომპიუტერები გადანაწილებულია ადმინისტრაციაში, რესურს-ოთახში, დირექტორეირსა და მოადგილის კაბინეტში. სკოლის ბალანსზე ირიცხება 6 ერთეული პრინტერი და 5

ერთეული პროექტორი. მასწავლებლებს საშუალება აქვთ საგაკვეთილო პროცესშიც ისარგებლონ, როგორც კომპიუტერებით ასევე პროექტორით. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, სხვადასხვა საგნობრივი კათედრები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მასწავლებელი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპი), პროექტორი, პრინტერი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. **სკოლას მიეცა რჩევა,** კომპიუტერულ ოთახში თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრას წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს. **3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებისათვის საზიარიო სამუშაო სივრცე სკოლაში მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. იგივე სივრცით სარგებლობენ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის მასწავლებელთა თანამშრომლობით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მაგ, პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამზადდება საინფორმაციო ბროშურები/ პოსტერები. ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოეწყობა საპრეზენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო თემთან. სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. კომპიუტერული ტექნიკის სწორი ფუნქციონირების, ტექნიკური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი. **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შესყიდვების დოკუმენტაცია.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესები

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, ელექტრონული საქმისწარმობისათვის გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. დოკუმნტაცია მუშავდება და ტარდება eflow სისტემაში. შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას ენიჭება დოკუმენტის ნომერი ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის. **3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: kharaulaps@gmail.com - სადაც სკოლა იღებს ზოგიერთ ინფორმაციას და დოკუმენტს. **3.6.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტისას გადამოწმებული იქნა სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტმაში და ის სრულყოფილია. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას მიეცა რჩევა, გამოჰყოს უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ.

**3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან. **3.6.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საქმისწარმოების წესი

მართვის საინფორმაციო სისტემა;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადობის ინფორმირებას და კომუნკაციას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის: სკოლის ვებ-გვერდზე, სკოლის სოციალური ქსელით, ელექტრონული ფოსტით kharaulaps@gmail.com/ kharaulaps@mes.gov.ge ელექტრონული ჟურნალით, დახურული ჯგუფებით სოციალურ ქსელში, პირისპირ შეხვედრებით.
**3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებების, სკოლის სოციალურ გვერდის, ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის სოციალური ქსელს აქვს შეტყობინების ფუნქცია. **სკოლას მიეცა რჩევა,** ბრძანებით განსაზღვროს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულება იქნება ინფორმაციის დროულად განთავსება ვბგვერდზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამოიყენება ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდოა და შესაძლებელია მისი გადამოწმება.
**3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით და ადმინისტრაციასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, ადგილობრივ თემთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და

დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში. **3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას : მისია, ხედვა, ღირებულებები; პირვლკლასელთა ლიმიტი; ტრატეგიული განვითარების გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის შინაგანაწესი; სკოლას ვებგვერდზე ასახული აქვს ინფორმაცია პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების შესახებ. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები პირველადი ავტორიზაციის პროცესში სკოლას ვერ ექნება.
**3.6.3.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ვებ-გვერდი
- სოციალური ქსელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბუღალტერთან ჩატარებული ინტერვიუთი და მის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზით. განიხილავს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითდად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული. **3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის.

სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და დანახარჯებს. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს და მაკონტროლებელ ორგანოს. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით და წესდებით, მოსწავლეთა ადაპტაციის წესით ( დირექტორის მ/შ ბრძანება 01/03-45). წარმოდგენილი დოკუმენტებით დაზუსტებულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები წახალისებისა და სახდელის გამოყენების პირობები, მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვის რეგულაციები. **4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დადგინდა, რომ ხელშეკრულებები ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს, ასევე კლასის დამრიგებლი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწლებს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი, მორიგეობის განრიგი და სკოლის შიდა რეგულაციები. შესაბამისად, **4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს მოსწავლეთა პირადი საქმეები და დადასტურდა, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს

კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მოწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. **4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი.
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.
- დამრიგებლის დებულება.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სახელმძღვანელოების ან ბუკების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულება

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწაფვლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი, რომლითაც  განსაზღვრულია მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების და მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის, მოსწავლეთა მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი და პროცედურები.

აღნიშნული დოკუმენტით და სხვა შიდა დოკუმენტებით ( შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა ) **4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, კლასებში არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმითა და დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. **4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დამრიგებლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით. შესაბამისად, **4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01-03/45) წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა არეგულირებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას დროულად გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და იმოქმედოს მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ადაპტაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები და სკოლის დათვალიერება. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია. **4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

წარმოდგენილი მასალები (დამრიგებლების პორტფოლიოები, განხორციელებული აქტივობის ფოტო მასალა, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი) ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლეთა/მშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს. **4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მოსწავლე სარგებლობს სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუ თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ასევე, მასწავლებლები

მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
**4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

ინტერვიუებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენისა და სხვა წესის შესახებ. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ადასტურებს შინაგანაწესისა და შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის ფაქტს. **4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას არ აქვს გაწერილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება არაფორმალური აქტივობები. თუმცა სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სხვადასხვა აქტივობების ამსახველი მასალები ( ღონისძების გეგმა - ,,ანა კალანდაძის პოეზიის საღამო“, დამრიგებლების ჩანაწერები, ნიკო კეცხოველის პროგრამაში მონაწილეობისა და წარმატებების ამსახველი მასალები) რომლითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სკოლა ახალლისებს არაფორმალურ აქტივობებსა და მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. **4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგ; სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. **4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები (იხ. სკოლის ფეისბუქ გვერდი).

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის განხორციელება საბაზო და საშუალო კლასებში. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლო საშუალებებს: არჩევითი საგნების ნუსხას 10-12 კლასებში. დირექტორის განმარტებით სკოლა თანამშრომლობს ქედის პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსთან“. სასწავლო პროგრამებისა და სპეციალობების გაცნობის მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. **4.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციის წევრების განცხადებით დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან სკოლის მოსწავლეებს სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სხვადასხვა კოლეჯის პროფესიულ და უმაღლესი სასწავლებელების პროგრამებზე, ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ. **4.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სადამრიგებლო დებულება.
- კვლევის ანკეტა.
- შემაჯამებელი კვლევის ანალიზი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძებები. დოკუმენტში განმარტებულია, ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე, როგორ უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ისგ ჯგუფის ფორმირება და საქმიანობის განხორციელება, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. განსაზღვრულია სკოლის ის ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის უსაფრთხოებასა და დაცულობას სასკოლო გარემოში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმდო გეგმის შესახებ. (ბრძანება N 01-03/06.) განსაზღვრული იყო მონიტორინგის ჯგუფი. **4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (ისგ ჯგუფი, დირექცია, ადმინისტრაცია) თავის პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებაში. სკოლაში ფუნქციონირებს რესურ-სოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, წარმოდგენილია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. თუმცა ვიზიტის დროს აღნიშნული წესი არ იყო გამოკრული რესურს-ოთახში. სკოლას მიეცა რჩევა, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას სარგებლობის წესი. რესურს ოთახში განთავსებულია კომპიუტერი, რესურსები სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. რესურს-ოთახის აღჭურვასა და მოწყობაზე პასუხისმგებელია სკოლა (სასკოლო საზოგადოება) სპეცმასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს და განცხადებით მიმართავს დირექტორს საჭირო მასალის შესაძენად. სსსმ მოსწავლის მშობელთან ხდება მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლის მიმდინარე საჭიროებებთან დაკავშირებით. სკოლას ვიზიტის პერიოდში უფიქსირდებოდა 2 სსსმ მოსწავლე, ყველა მოსწავლესთან მიმართებით შექმნილია ისგ ჯგუფი, ვიზიტის პერიოდში მუშავდებოდა ინდივიდუალური გეგმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლა თითოეულ მოსწავლეზე მულტიდისციპლინური დასკვნის შესაბამისად ადგენს ინდივიდუალურ გეგმებს, ახდენს მის მონიტორინგს.

**4.2.3.2. ინდიკატორის მოთხვონა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- მოსწავლესთან მუშაობის შედეგების ანგარიში

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს. სკოლა დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას, რომელიც ცენტრალიზებულია. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ტაბელები.
**ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წარმოების პროცესში სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ტრანსპორტირების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| | ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს კურიკულუმის შექმნისა და განვითარების ზოგად ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების,მასწავლებლებისა ადმინისტრაციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმ საკითხებზე, თუ როგორ დახვეწოს მექანიზმი რომლითაც შესაძლებელი გახდება სასკოლო საზოგადოების (მშობელთა ნაწილი) მაქსიმალურად ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში მათი ინტერესებისა თუ საჭიროებების გათვალისწინების მიზნით.

**ასევე სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შექმნის სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 01-03/08 თარიღი 02/09/2025) და ბრძანება N 01-03/09 კურიკულუმის შემუშვების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შექმნის დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სწავლა- სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში ხდება როგორც მათი ინიციატივით, ამ ეტაპზე ზეპირი განცხადებებით, ისე სკოლის ინიციატივით.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კათედრების მიერ წარმოდგენილი სხდომების ოქმებით დასტურდება პედაგოგთა ჩართულობა და გუნდური მუშაობა კურიკულუმების შემუშავებისას. (საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N 1 09/09/25) გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს,კათედრების შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობს შედეგების გაანალიზება, მასწავლებლები პროცესზე დაკვირვებით აღწერენ და კოლეგებს უზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრები მსჯელობენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმები და მისი მხარდამჭერი მასალები გაზიარებულია სამუშაო შეხვედრებზე, კრებებზე და სხდომებზე, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები.

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თემებს, თემატურ ბლოკებს, საკითხებს, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია კონცეპტუალური სწავლების პრინციპები, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე და გულისხმობს აქტივობების შესრულებისას მსჯელობას, დისკუსიაში მონაწილეობას, ნასწავლი მასალის დაკავშირებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენას.<br>საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება შინაარსის თანმიმდევრული განვითარება და ცნებების ეტაპობრივი გაღრმავება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის სისტემურ განვითარებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოიცავს კვლევით, ანალიტიკურ და შემოქმედებით კომპონენტებს, რაც ასევე შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ შექმნას პროდუქტი და გააზრებულად გამოიყენოს მიღებული ცოდნა.<br>საერთო ჯამში, წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს და შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.<br>**რჩევა:** კურიკულუმის კიდევ უფრო გასაძლიერებლად სასურველია თემების ფარგლებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, ასევე უფრო გამოკვეთილად აისახოს კომპლექსური და კვლევითი დავალებები, მათი შესრულების ეტაპები და მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტის ტიპები. სასურველია, კურიკულუმში უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს შეფასების ფორმები და კრიტერიუმები თემატურ ნაწილებთან კავშირში, რაც კიდევ უფრო გაამყარებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას. |

| | |
|---|---|
| | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასურველია აქტივობების მეტად პრაქტიკულ და დაკვირვებით ფორმატში გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გათვალისწინებას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე თაობის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს. აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირებაზე.<br>კურიკულუმის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომპლექსური დავალებები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტს პროექტები „ციფრული მოქალაქეობა“, „მედიაწიგნიერება“. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და ფუნქციური უნარების განვითარებას. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას საფეხურის მისაღწევი შედეგები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და |

| | |
|---|---|
| | განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, თუმცა **მცირედი უზუსტობებით, კონრეტულად: ყველა კლასში,თემებთან მიმართებით არ არის ჩატანილი სამიზნე ცნებები, სრულად არ არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები.**<br><u>რჩევა: მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმებში,ყველა საფეხურზე სრულად იყოს ჩატანილი თემები,სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები.</u><br>**ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, აქვთ შემოქმედებითი (კომპლექსური) ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. კურიკულუმს ახლავს ერთ-ერთი შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები და ადეკვატურად გაწერილი შეფსების კრიტერიუმები. |
| მათემატიკა | მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევი ღონისძიებების გასატარებლად. სასწავლო გეგმები ეყრდნობა გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მორგებულია რეალურ კონტექსტებსა და მოსწავლეთა ინტერესებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს მათემატიკური ცნებების სიღრმისეულ ათვისებასა და ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერს, რაც სასწავლო პროცეს მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებისათვის საუკეთესო გზამკვლევია. |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, |

| | |
|---|---|
| | ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმის რეალიზების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. იგი ფოკუსირებულია შვიდ სამიზნე ცნებაზე, ეფუძნება კომპლექსური დავალებების მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს მოსწავლის ეტაპობრივ განვითარებას დაწყებით საფეხურზე. პროგრამა ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და არა მხოლოდ ერთჯერადი აქტივობების შესრულებაზე.<br><br>სკოლაში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლის სტატუსის მაძიებელი პედაგოგი, რომლის პროფესიული მზაობაც აშკარაა. იგი სწორად წარმართავს სასწავლო პროცესს, ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე და სასწავლო მიზნებს საფეხურის დონეზე განსაზღვრავს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br><br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია ისეთი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს თავისი უნარების განვითარებას.<br>**რჩევა:** კარგი იქნება, თუ კურიკულუმები იქნება მეტად სტრუქტურული და მასწავლებლები ერთობლივად შეათანხმებენ როგორც კურიკულუმის კომპონენტებს, ისე შემოქმედებითი დავალებების იდეებს. |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) შინაარსობრივად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და |

| | |
|---|---|
| | საკითხები, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას და ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.<br>საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება შინაარსის თანმიმდევრული განვითარება და ცნებების ეტაპობრივი გაღრმავება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის კონცეპტუალურ გააზრებასა და ცოდნის ტრანსფერს სხვადასხვა კონტექსტში. წარმოდგენილი აქტივობები და დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს იმუშაონ სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე, იმსჯელონ, დააკავშირონ ნასწავლი მასალა საკუთარ გამოცდილებასთან და გამოავლინონ კანონზომიერებები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაშია.<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემისთვის უფრო მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კურიკულუმის კავშირს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან. ასევე სასურველია თემების ფარგლებში უფრო გამოკვეთილად აისახოს აქტივობებისა და დავალებების შესაბამისობა კონკრეტულ მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. არსებობს ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის, რაც სწავლების პროცესს აქცევს მოსწავლეზე ორიენტირებულად.<br>კურიკულუმი მოიცავს რემედიაციის გეგმებს ისტორიის რემედიაცია, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას აკადემიური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და პერსონალური განვითარების ხელშესაწყობად. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ |

| | |
|---|---|
| | შედეგებს. უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილი და აღწერილია ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი,თუმცა არის უზუსტობებიც. მაგ: ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ძველი სამიზნე ცნებები. ასევე ზოგ შემთხვევაში სტანდარტიდან დეტალურად არის ჩაშლილი სამიზნე ცნებების ქვეცნებები დ ქვესაკითხები მოცულობითი რაოდენობით. **რჩევა 1:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იქნება ინგლისური და რუსული ენების მიერ. (მაგ: ინგლისურს წარმოდგენილი აქვს შუალედური მიზნები, ხოლო გერმანულა კომპლექსური დავალებები). **რჩევა 2:** კურიკულუმის ჩარჩოში- **მაგალითი შედარების-** ქვეშ წერია დავალეების პირობა-მიუთითეთ ის კონკრეტული მაგალითი, ტექსტი თუ რესურში, რომელიც შეიძლება იყის გამოყენებული შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების შესადარებად. **რჩევა 3: რუსული ენა საბაზო საფეხური- 8 კლასი-**დარწმუნდით, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მიუთოთ იმ წიგნის სახელწოდება, რომელსაც გადიხართ. |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი,საბაზო და საშაულო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა სწავლ-სწავლების პროცესში, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. შემოქმედებითი ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს მოსწავლეების უნარების გამომუშავებას და აქტივირებას, რომელიც ამავდროულად წაახალისებს მოსწავლეს,რომელიც გაცნობიერებს საკითხს,ცნებებსა და მოკლევადიან მიზნებს. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და განხორციელებული პროექტები. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სასწავლო კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მათში არის გაწერილი ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნებები და ის თემატური ბლოკები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია სასწავლო წლის განმავლობაში. კურიკულუმის სტრუქტურაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) დაფუძნებული სწავლება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კვლევით და შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე, რომლებიც სასწავლო პროცესის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს და ხელს უწყობს მოზარდებში კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანის უნარს. |
| სპორტი | მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში, იმ კლასებში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. მიმართულებების მიხედვით განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.<br><br>**რჩევა:** მასწავლებელმა ცვლილება შეიტანოს კურიკულუმის ჩარჩოში. კერძოდ, საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, პირველ სვეტში სათაური - „თემის დასახელება“ - უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით „მიმართულება“. მაგალითად: II კლასი, მიმართულება - ისტ (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), სამიზნე ცნება - ინფორმაცია. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებსა და სამიზნე ცნებებს, ზოგიერთი კურიკულუმის შემთხვევაში, სტრუქტურული და |

| | |
|---|---|
| | შინაარსობრივი ცვლილებები იყო საჭირო, რაზეც ინტერვიუს დროს ვისაუბრეთ და გამოასწორეს პირველი კლასის შემთხვევაში. |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო მასალები და ელექტრონული რესურსები, რაც ქმნის პირობებს მოსწავლეთა ჩართულობისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის. რესურსები შერჩეულია თემატიკის შესაბამისად და მათი გამოყენება დაკავშირებულია სასწავლო პროცესში დაგეგმილ აქტივობებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.<br>რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათი მრავალფეროვნება (მათ შორის სიმულაციები, ვიზუალური მასალა, დამატებითი წყაროები) იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლემ უკეთ გაიაზროს სასწავლო საკითხები, იმუშაოს სხვადასხვა ტიპის დავალებაზე და შექმნას შესაბამისი პროდუქტი.<br>**რჩევა**: სასურველია, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, რესურსების სვეტში უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული რესურსები (მაგალითად, სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები). |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, რაც მოიცავს როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე ციფრულ და მატერიალურ მასალებს ელექტრონული პორტალები el.ge, mediatsigniereba.ge.<br>რესურსები შერჩეულია კომპლექსური დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, მოქალაქეობის პროექტებში გამოყენებულია პრაქტიკული ინსტრუმენტები: |

| | |
|---|---|
| | Canva ბროშურების შესაქმნელად, პეტიციის პორტალი ichange.gov.ge და საინფორმაციო ვიდეო-რესურსები, რაც ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. |
| უცხოური ენები | უცხოურ ენების კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** რუსული ენის კურიკულუმი **საშუალო** და **საბაზო საფეხურზე** გაამდიდრეთ დამატებითი რესურსებით, გარდა სახელმჭცვანელოსა და სამუშაო რვეულისა. (6-7 კლასები) |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზვრული მიზნების მიღწევას. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძვანელოებს, მასალას იუთუბ არხიდან, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რადგან სკოლა მცირეკონტინგენტიანია, სკოლის ბიუჯეტით ხშირად ვერ ხერხდება რესურსების შეძენა, ამიტომ მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან საჭირო რესურსებს. |
| მათემატიკა | კურიკულუმის რესურსები ორიენტირებულია მიზნების მიღწევაზე, თუმცა აუცილებელია ინტერნეტ-მასალების გვერდით კვლევითი და ვიზუალური თვალსაჩინოების ჩართვა. რესურსების დივერსიფიკაცია ხელს შეუწყობს დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.<br>**რჩევა: კურიკულუმში ჩაემატოს რესურსების ფართო არეალი, რათა სასწავლო პროცესი უფრო დინამიკური და თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული გახდეს** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სრულად პასუხობს ესგ-ს მიზნებს. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და საშუალებას აძლევენ მას, შექმნას კომპლექსური დავალებით გათვალისწინებული პროდუქტი. რესურსების შერჩევისას დაცულია შინაარსობრივი ვალიდობა. გამოყენებულია მხოლოდ ის ინსტრუმენტები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. რესურსები პირდაპირ არის მიბმული სამიზნე ცნებებთან. **რჩევა: სასურველია კათედრასთან თანამშრომლობით ყოველი წლის ბოლოს შეააფასონ, რომელი რესურსი აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური მოსწავლეებისთვის და რომელი საჭიროებს ჩანაცვლებას ახალი, უფრო თანამედროვე პლატფორმით.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბმულები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა უზრუნვეყოფილია პროექტორებით, რაც დამატებით საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გამოიყენოს ელექტრონული რესურსები. |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და შეფასების დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე და ქმნის საფუძველს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისთვის. წარმოდგენილ მასალებში იკვეთება ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს იმუშაონ სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე, იმსჯელონ, იმუშაონ ინდივიდუალურად და ჯგუფურად, და დააკავშირონ სასწავლო მასალა საკუთარ გამოცდილებასთან, რაც ხელს უწყობს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | ჩართულობას. კურიკულუმებში ზოგად დონეზე იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რაც თავისთავად გულისხმობს დიფერენცირების შესაძლებლობას და ინკლუზიური გარემოს შექმნას სასწავლო<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ აისახოს დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული მიდგომები, მათ შორის სხვადასხვა დონის მოსწავლეებისთვის განსხვავებული სირთულის დავალებები და მხარდაჭერის ფორმები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში დანერგილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის მათ შორის სსსმ პირთათვის ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროცესი ორიენტირებულია ბარიერების იდენტიფიცირებასა და მათ აღმოფხვრაზე.<br><br>დიფერენცირების უზრუნველსაყოფად გამოიყენება მრავალფეროვანი მატერიალური და ციფრული რესურსები, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად, მათი აკადემიური დონისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>აღნიშნული დასტურდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმებით, სადაც ასახულია სამუშაო შეხვედრები ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და კომპლექსური დავალებების ადაპტირებაზე. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი |

| | |
|---|---|
| | დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესააძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული სამიზნე ცნებება და მასზე დაყრდნობით შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვან შეფასებას. აქტივობები/აქტივობათა პაკეტი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს და ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რამდენადაც სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ვიზიტის შემდგომ გამოგზავნილ ინდ.გეგმებში აისახა. |
| მათემატიკა | სკოლაში მოქმედებს ისგ-ის შემუშავების მექანიზმი, რაც სწავლების ინდივიდუალიზაციას მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს. შემოქმედებითი ტიპის დავალებების შინაარსი ასახავს დიფერენცირების პრინციპებს, რაც სასწავლო პროცესს ინკლუზიურს ხდის.<br>**რჩევა: კათედრაზე მოხდეს რესურსების წინასწარი დაგეგმვა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რათა სწავლება მაქსიმალურად მოერგოს მათი რეალურ საჭიროებებს.** |
| სპორტი | მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და შაშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობას, ინტერესებსა და სწავლის სტილს. კომპლექსური დავალებების პირობებში ჩადებულია არჩევანის შესაძლებლობა. მაგალითად, მე-2 კლასში „უბნის მაკეტის" შექმნისას, მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს როგორც ციფრული ინსტრუმენტი (Paint 3D), ისე ფიზიკური მასალები (მუყაო, სახატავი საშუალებები). პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სწავლის მიღმა და თითოეულმა შეძლოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან/ კათედრის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ აკადემიური უნარების გაუმჯობესება. |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, მისი მიღწევების შეფასებასა და პროგრესის დაფიქსირებაზე. წარმოდგენილ დოკუმენტებში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ მხარდაჭერას და მოსწავლის მიღწევების შეფასებას.<br>შეფასების ინსტრუმენტებში (რუბრიკებში) ასახულია სხვადასხვა დონის შესრულების აღწერები, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მოსწავლის ცოდნის სიღრმე, ანალიზის უნარი და მიღებული ცოდნის გამოყენება. წარმოდგენილი კრიტერიუმები მოიცავს კვლევით, ანალიტიკურ და შემოქმედებით კომპონენტებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. შეფასების |

| | |
|---|---|
| | სისტემაში იკვეთება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მცდელობა, რაც გამოიხატება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებაში.<br>**რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად კურიკულუმებში თემების მიხედვით უფრო მკაფიოდ აისახოს შეფასების ფორმები და შესაბამისი კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის უკეთ ინტეგრაციას სწავლა-სწავლების პროცესთან. ასევე სასურველია უფრო გამოკვეთილად განისაზღვროს თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გამოყენების პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მოსწავლის ჩართულობას შეფასების პროცესში. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. პრიორიტეტი ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად.<br>კურიკულუმებს თან ახლავს წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ზოგადი და სპეციფიკური უნარების შესამოწმებლად. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ  გამოიყენება როგორც განმავითარებელი (I-XII კლასები), ისე განმსაზღვრელი შეფასება (V-XII კლასები). შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან, ხოლო ინსტრუმენტები ზომავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მიზნებს |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრის  მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი  შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა  და მუსიკაში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა  პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და  აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის |

| | |
|---|---|
| | მოთხოვნებს, რომელშიც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის დონეები, რაც შესაძლებლობას ქმნის შეფასება მასზე დაფუძნებით განახორციელდეს. |
| სახელმწიფო ენა | სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით.<br>წარმოდგენილია მე-5 კლასის შეფასების რუბრიკები, რომლებიც ცნებებთან მიმართებითაა შედგენილი და მეტ-ნაკლებად ეყრდნობა სტანდარტის ინდიკატორებსა და დავალების კრიტერიუმებს. სასურველია, მეტად დაიხვეწოს, რათა მოსწავლისთვისაც და მშობლისთვისაც მკაფიო გახდეს, რას უფასებს მასწავლებელი ნაშრომში.<br>მე-10 კლასისთვის განკუთვნილ რუბრიკაში გაუგებარია, როგორ აქტიურდება და ფასდება ცნება კონტექსტი, დავალებად მიცემულია ავთანდილის სიმღერიდან ერთი სტროფი და მოსწავლისგან ითხოვენ, რომ ნაშრომში წარმოაჩინოს ისტორიული კონტექსტი. რუბრიკაშიც არაა გარკვეული, ამ ცნებასთან მიმართებით რას აფასებენ.<br>**კათედრას მიეცა რჩევა,** შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. ბუნებრივია, რუბრიკა რომ გამართული იყოს, საჭიროა დავალების პირობა და მათ შორის შეფასების კრიტერიუმები იყოს მკაფიო და გასაგები მოსწავლისათვის. |
| მათემატიკა | სკოლის შეფასების სისტემა ვალიდურია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით. რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები მეტ-ნაკლებად იძლევა მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური ანალიზის საშუალებას და ხელს უწყობს სწავლების ამაღლებას.<br>**რჩევა:** მიზანშეწონილია რუბრიკების მეტი დეტალიზაცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებების ჩართვა ფორმულირებაში, რათა უკეთ გამოიკვეთოს მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების დინამიკა. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკული გამოცდილება. აშკარაა, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ხედვა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოების შესახებ, რაც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა. წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკა იყენებს დონეებს („საჭიროებს დახმარებას“, „ნაწილობრივ ფლობს“, „დამოუკიდებლად ასრულებს“).<br><br>**რჩევა:** არსებული რუბრიკები საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას. ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობისთვის, მიზანშეწონილია SOLO ტაქსონომიის ინტეგრირება შეფასების პროცესში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის აზროვნების განვითარების დონეების იდენტიფიცირებას და ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესზე ორიენტირებული უკუკავშირის მომზადებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>დაწყებით საფეხურზე გამოყენებული იყო შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, როგორც კომპლექსური, ისე ცალკეული დავალებების შემთხვევაში. |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დოკუმენტაცია
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათდრებზე განხორციელებული პროექტების სამუშაო მასალები
- საგნობრივი კათედრიების სხდომების ოქმი
- ისტორიის რემედიაციის გეგმა
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება მასში განსაზღვრულ თემებს, სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და მოსალოდნელ შედეგებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემატიკა და შინაარსობრივი განაწილება ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემურობას და მიზნობრიობას ყველა საფეხურზე.<br>საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება თემების ლოგიკური თანმიმდევრობა და ცნებების ეტაპობრივი განვითარება, რაც ასახავს სასწავლო პროცესის წინასწარ გააზრებულ დაგეგმვას. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები ასევე მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების შესაბამისად და ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო საქმიანობაში.<br>ამასთან, წარმოდგენილი მასალებიდან და პედაგოგებთან გასაუბრებით ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და იყენებენ მას როგორც გზამკვლევს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებისას, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის სტრუქტურით, ისე შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით.<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ფარგლებში უფრო თვალსაჩინოდ აისახოს სასწავლო პროცესის დაგეგმვის კონკრეტული ელემენტები, მათ შორის თემების მიხედვით აქტივობების, შეფასების ფორმებისა და რესურსების უფრო მკაფიო კავშირი, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კურიკულუმსა და პრაქტიკულ განხორციელებას შორის თანხვედრას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | თითოეული საგნის წლიური და სემესტრული გეგმები გამომდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენებიდან. სწავლის პროცესი ორიენტირებულია კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებებზე.მაგ: მეცხრე კლასში თემა ცენტრალური ხელისუფლება ესგ შესაბამისად მიზნობრივად და სტრუქტურირებულად მუშავდება ცნებები და საკითხი, მიზნობრივადაა რესურსები შერჩეული. |

| | |
|---|---|
| | 1.საზოგადოება.ქვეცნება-ადამიანის მოთხოვნილებები და საჭიროებები-უსაფრთხოება-პატივისცემა-აღიარება 2.დემოკრატია, ქვეცნება-დემოკრატიის პრინციპები-გამჭვირვალობა-ანგარიშვალდებულება 1. კონსტიტუცია, როგორც, დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტი, თავისუფლების, თანასწორობის და ადამიანური ღირსების დასაცავად, მირანდას უფლებები(გვ.14)წერილი მეგობარს, სადაც აუხსნი თუ როგორ ქმნის კონსტიტუცია თითოეული ჩვენგანისთვის განვითარების და უფლებების გარანტიებს (დაახლოებით 250 სიტყვა).რესურსები-სკოლაში მიუხარია(გვ.11),დედები არაფხიზელი მძღოლების წინააღმდეგ (გვ.10),მრავალფეროვნება პორტრეტებში,(გვ.11),სახელმძღვანელო-ნ.ტალახაძე ,,სიდი,,საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4 https://ombudsman.ge/geo/informatsia-bavshvebistvis-vis-mivmartot |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაგეგმარება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე). გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურ ჯაჭვშია კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე, რასაც ამყარებს ინტერვიურების პროცესის დროს მიღებული ინფორმაცია, კათედრა სასწავლო პროცესს წარმათავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიეინტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. |
| მათემატიკა | პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. დაგეგმვა ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე, ტრანსფერის განვითარებაზე საგანთ შორის.<br>**რჩევა:** სასურველია ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება საგნობრივი კათედრის ფარგლებში შეთანხმდეს, რათა პროცესი უფრო ერთიანი და ეფექტური იყოს. |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. |
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ დოკუმენტს, არამედ სასწავლო პროცესის მთავარ ორიენტირს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>მასწავლებლებმა დაასახელეს მაგალითები, სადაც ნათლად ჩანდა, რა მეთოდი გამოიყენეს კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის ჩატარებისას. ასევე დამატებითი დოკუმენტაციის გადმოგზავნისას, ვნახეთ ფოტომასალა, კონკრეტული ტექსტის მიხედვით შექმნილ აქტივობაზე,რითაც დასტურდება რომ კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი.გარდა ამისა, მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ დამატებით პროექტებში, |

| | |
|---|---|
| | რომელიც ფინანსდება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ და მათ მიერ გამოყოფილი ბიუჯეტით ცდილობენ გაამრავალფეროვნონ აქტივობები და ჩაატარონ პროექტები. |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე .**

ვიზიტისას დირექტორთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ პედაგოგის ავადობის ან გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობისთვის პედაგოგი ან პედაგოგის ოჯახის წევრი გონივრული ვადით ადრე ატყობინებს სკოლის ადმინისტრაციას,( ან დირექტორს ან მოადგილეს) წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. შეტყობინება შესაძლოა იყო სწინასსწარ წერილობითი ან სიტყვიერი სატელეფონი ზარი. დირექტრის მოადგილე ვადლებულია შეიტანოს ცვლილება განრიგში და დროებით ჩაანაცვლოს პედაგოგი.(იგივე საგნის სხვა პედაგოგით,
იგივე წესები ვრელდება სკოლის სხვა პერსონალზე.

**სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემულია წლიური კალენდარი და გაკვეთილების განრიგი,ასევე სკოლის შინაგანაწესში იკითხება გარკვეული ჩანაწერი აღნიშნულთან დაკავშირებით. სხვა საყრდენი დოკუმენტები სადაც შესაძლებელია აღწერილი იყოს ფუნქცია-მოვალეობები ან/ და პრევენიცული ღონისძიებები სკოლამ ვერ წარმოადგინა.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევების მრავალმხრივ შეფასებაზე. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის რუბრიკები, განსაზღვრავს შესრულების სხვადასხვა დონეს და მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ცოდნის გააზრება, ანალიზი, დასკვნის გაკეთება და მიღებული ცოდნის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.<br>შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, ხოლო შესრულების დონის აღწერები ქმნის საფუძველს სანდო და სამართლიანი შეფასებისთვის. წარმოდგენილი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი და განსხვავებული შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის სამართლიანობას. |

| | |
|---|---|
| | ასევე აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების პროცესის უწყვეტ მხარდაჭერას და მიღწეული შედეგების დაფიქსირებას. **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად კურიკულუმებში თემების მიხედვით უფრო მკაფიოდ აისახოს შეფასების ფორმები და შესაბამისი კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უკეთ ინტეგრაციას სწავლა-სწავლების პრაქტიკასთან. ასევე სასურველია უფრო თვალსაჩინოდ განისაზღვროს თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გამოყენების მექანიზმები, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების გამჭვირვალობასა და მოსწავლის ჩართულობას შეფასების პროცესში. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი კათედრის ყველა საგნის მიმართულებით წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვნაი ინსტრუმენტები, არის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავიტარებელი, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. თითოეული მათგანი მიემარტება კონკრეტულ დავალებას. რუბრიკებში და სკოლის სასწავლო გეგმაში ჩანს შეფასების პრინციპები. |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ გაზიარებული შეფასების განმსაზღვრელი განმავითარებელი რუბრიკების არის მკაფიო და ახდენს განსაზღვრული კონკრეტული თემის შეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ნაწილობრივ გააზრებული და იყენებენ კიდეც თემის მისაღწევი შედეგების შესაბამის განმავითარებელ შეფასებებს. თუმცა, უცხოური ენების ნაწილში სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გაიცემა **რჩევა:** სასურველია კათედრამ მოახდინოს შედგენილი განმავიტარებელი რუბრიკების მეტად გააზრება და გამოყენებული იყოს საერთო მიდგომა ორივე უცხოურ ენასთან მიმართებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის - სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისთვის და მუსიკისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების |

| | |
|---|---|
| | ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებით ტიპის დავალებებზე და ასევე საშუალებას გვაძლევს მიმდინარე შეფასების პროცესში იყოს გამოყენებული.<br><br>რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითერებლ შეფასების სისტემისათის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. |
| სახელმწიფო ენა | კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. განმსაზღვრელი შეფასებით ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება ბ) მიმდინარე საშინაო დავალება გ) შემაჯამებელი დავალება. შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობს მოსწავლე, ანუ მან წინასწარ იცის, რას და როგორ შეუფასებენ. |
| მათემატიკა | შეფასების სისტემა სანდო და სამართლიანია; რუბრიკები ვალიდურია და პასუხობს სასწავლო სტანდარტებს. ინდიკატორების სიზუსტე უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ასახვას ამასთან იძ;ლევა ქულობრივი გრადაციის საშუალებას.<br>**რჩევა: მნიშვნელოვანია, რუბრიკები თემის დაწყებამდე გაეცნოთ მოსწავლეებს, ხოლო მათი ჩამოყალიბების სტილი იყოს მკაფიო, რათა გაიზარდოს პროცესის გამჭვირვალობა ამასთან ყურადღება მიაქციეთ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს.** |
| სპორტი | სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი |
| ტექნოლოგიები | შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გაცნობით. აღნიშნული პრაქტიკა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სასწავლო პროცესში სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბების გარანტიაა. შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური მიდგომით, |

| | |
|---|---|
| | თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს შეფასების მექანიზმების რეალიზებასა და სასწავლო პრაქტიკაში შეფასების რუბრიკების გამოყენების პროცესს.<br>**რჩევა:** რუბრიკებში ტექნიკური უნარების (მაგ. „მაუსის ფლობა“ ან „ფონების შეცვლა“) გვერდით, მეტი ადგილი დაეთმოს აზრობრივ კრიტერიუმებს. მაგალითად, ნაცვლად კრიტერიუმისა „გამოიყენა 3 ბლოკი“, ჩაიწეროს: „მოსწავლემ გააცნობიერა ალგორითმის თანამიმდევრობის მნიშვნელობა სასურველი შედეგის მისაღწევად.“ |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br><br>შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, მასწავლებლებს აქვთ მზაობა გაითვალისწინონ ყველა რჩევა. |

4. **სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლაში შეფასების ვერიფიკაციის პროცესი სამი მიართულებით ხორციელდება:

1. შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.
2. პროცესის ვერიფიკაცია
3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

კათედრების ხელმძღვანელებმა გასუბრებისას აღნიშნეს, რომ როგორც მიმდინარე პროცესებში სამუშაო შეხვედრებზე, ასევე სემესტრის და წლის ბოლოს კათედრების სხდომებზე პედაგოგები განიხილავენ მოსწავლეებთან მუშაობისას გამოყენებული შეფასების რუბრიკებს, მათ თანხვედრას მიზნებთან, ცნებებთან , უცვლიან ერთმანეთს მოსაზრებებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

რაც შეეხება პროცესების ვერიფიკაციას, დირექტორი,მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები პერიოდულად ესწრებიან გაკვეთილებს და პედაგოგს უბრუნებენ წერილობით უკუკავშირს. ასევე კათედრას აქვს ურთიერთდასწრების პრაქტიკა,სადაც პედაგოგები ერთმანეთს ესწრებიან უცვლიან ერთმანეთს მოსაზრებებს, უკუკავშირს.

მტკიცებეულებების ვერიფიკაციის მიართულებით დირექტორის თქმით სამუშაო ჯგუფი წლის ბოლოს ჩაატარებს სამუშაო შეხვედრას, სადაც დეტალურად განიხილავენ გამოყენებულ მტკიცებულებებს.

**ადგილზე ვიზიტასას სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტის დამტკიცებისა და აღნიშნულ დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების ბრძანება.**

**ვიზიტის შემდგომ სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულებები - დირექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03-24, 23.04.2026 წელი - ვერიფიკაციის დოკუმენტის და აღნიშნულ დოკუმენტე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ადგილზე ვიზიტისას დათვალიერდა და გადამოწმდა მონაცემების შენახვის პროცესები,სადაც კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილესთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა ;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალებების ბარათები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;*

- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზების ფორმები;*
- *განხორციელებული საგნობრივი პროექტების მასალები;*
- *კათედრების წევრების ურთიერთდასწრების ფორმები ;*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები .*

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო მასალები და ელექტრონული რესურსები, რაც ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის ყველა საფეხურზე.<br>საბაზო და საშუალო საფეხურზე რესურსების მრავალფეროვნება, მათ შორის ვიზუალური მასალები, სიმულაციები და დამატებითი წყაროები, ხელს უწყობს სასწავლო საკითხების გააზრებას, მოსწავლეთა ჩართულობას და სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. წარმოდგენილი რესურსები გამოიყენება როგორც თეორიული მასალის შესასწავლად, ისე პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების შესასრულებლად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>დაწყებით საფეხურზე გამოყენებული რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს გარემოს, ბუნებრივი მოვლენებისა და მარტივი პროცესების აღქმასა და გააზრებას. რესურსების გამოყენება დაკავშირებულია სასწავლო აქტივობებთან, რაც ქმნის პირობებს მოსწავლის აქტიური ჩართულობისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, რესურსების სვეტში უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული მასალები (მაგალითად, სახელმძღვანელოს შესაბამისი თემები/გვერდები), ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე უფრო გამოკვეთილად აისახოს თითოეული რესურსის ფუნქცია სასწავლო პროცესში. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ეფექტურად იყენებს კურიკულუმით გაწერილ როგორც ძირითად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე რესურსებს. რესურსების შერჩევა ხდება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოიყენება მრავალფეროვანი დამხმარე მასალა: ისტორიული წყაროები, რუკები, ვიდეო-გაკვეთილები და ინტერნეტ-რესურსები el.ge, mediatsignierebა.ge, რაც ხელს უწყობს საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.<br><br>სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყენებულია სპეციალურად შერჩეული დამხმარე რესურსები და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ საერთო სასწავლო პროცესში.<br><br>რესურსების გამოყენება დასტურდება მასწავლებელთა პორტფოლიოებითა და საგაკვეთილო გეგმებით, სადაც დეტალურად არის გაწერილი თითოეული ეტაპისთვის საჭირო დამხმარე მასალა. |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა, ბიბლიოთეკის ფონდი და ელექტრონული რესურსების ბაზა/ლინკები) შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები (ძირითადი რესურსი), ისე დამხმარე მასალები: |

| | |
|---|---|
| | ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წვდომა საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი), რაც მათ საშუალებას აძლევს, კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობები განახორციელონ შეუფერხებლად. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი ეფუძნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს (მუსიკა), მრავალფეროვან რესურსებს და ვიდორგოლებს,რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და იმთავითვე მორგებულია თემატურ ერთეულბზე. |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტარციებს, ელექტრონულ რესურსებს (ფილმებს, სპექტაკლებისჩანაწერებს) , მოსწავლეები მონაწილეობენ რესურსების შექმნაში. |
| მათემატიკა | სწავლებისას მასწავლებლები ეყრდნობიან გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და დამატებით რესურსებს. ეს მასალები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ საფეხურის მიზნების ეფექტიან მიღწევას და ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებას. |
| სპორტი | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.<br><br>კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე (II-VI კლასები), საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მრავალფეროვან სასწავლო მასალას ეფუძნება. მასში ინტეგრირებული რესურსები, მათ შორის პლატფორმა **School.emis.ge**, ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას, რადგან აღნიშნული პორტალი დატვირთულია საინტერესო კომპლექსური დავალებებითა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით.<br><br>**რჩევა: სასურველია, სამიზნე ცნებაზე - „ციფრული მოქალაქეობა“ - მუშაობისას გამოყენებულ იქნას რესურსი: „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისათვის“. იგი მოიცავს ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ადაპტირებულია კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br><br>სკოლაში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარედ, ძირითადად, ელექტრონული ბმულები. |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება საგნობრივი მოთხოვნებისა და კურიკულუმის მიზნების შესაბამისად. კურიკულუმებში მითითებული დამატებითი რესურსები (ელექტრონული მასალები, ვიზუალური და საგანმანათლებლო რესურსები) შერჩეულია სასწავლო თემატიკის მიხედვით და მიმართულია მოსწავლეთა ჩართულობისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფისკენ.<br>წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ რესურსების გამოყენება დაკავშირებულია სასწავლო აქტივობებთან და ხელს უწყობს სასწავლო საკითხების გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ასევე ჩანს, რომ პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმითა |

| | |
|---|---|
| | და საგნობრივი სტანდარტებით რესურსების შერჩევისას, რაც ქმნის საფუძველს რესურსების მამასთან, რესურსების გამოყენების პრაქტიკა მიუთითებს, რომ დამხმარე სასწავლო მასალები ემსახურება სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებას, რაც მნიშვნელოვანია კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის.იზნობრივი გამოყენებისა და შესაბამისობისთვის.<br>**რჩევა:** სასურველია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი უფრო მკაფიოდ აისახოს დოკუმენტურად, მათ შორის განისაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების მიდგომები და რესურსების პერიოდული გადახედვის მექანიზმები. ასევე სასურველია კურიკულუმში უფრო თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი, რა პრინციპებით ხდება კონკრეტული რესურსის შერჩევა და როგორ უზრუნველყოფს იგი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხდება საგნობრივი კათედრების დონეზე. ვალიდაციის პროცესში მთავარი კრიტერიუმია რესურსის შინაარსობრივი სიზუსტე და მისი როლი კომპლექსური დავალების შესრულებაში. ვალიდირებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები: ციფრული პლატფორმები el.ge, mediatsignierebа.ge, ისტორიული წყაროები, მედია-კონტენტი და პრაქტიკული ინსტრუმენტები Canva.<br><br>დამხმარე რესურსების ვალიდაციისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ ადაპტირებას სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის დიფერენცირებულ და ობიექტურ გამოყენებას. |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა, ბიბლიოთეკის ფონდი და ელექტრონული რესურსების ბაზა/ლინკები) შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად |

| | |
|---|---|
| | გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები (ძირითადი რესურსი), ისე დამხმარე მასალები:<br><br>ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წვდომა საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი), რაც მათ საშუალებას აძლევს, კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობები განახორციელონ შეუფერხებლად. |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ ვალიდაციის წესს. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. |
| მათემატიკა | დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრების მიერ, რაც გარანტიას იძლევა, რომ შერჩეული მასალები თანხვედრაშია სახელმწიფო სტანდარტებთან. ვალიდაციის მექანიზმი ხელს უწყობს საგნობრივი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და შედეგების მიღწევას. |
| სპორტი | სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში (II-VI კლასები) წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ვალიდურია, რადგან ისინი სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რესურსები განხილული და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსი გაზიარებულია თანამშრომლებში. |

## 3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლაში ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას პრაქტიკულ აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ლაბორატორია ძირითადად მარტივი ცდების ჩატარებისთვის გამოიყენება, არსებული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებმა მიიღონ საბაზისო პრაქტიკული გამოცდილება.<br>ამასთან, სასწავლო პროცესში გამოიყენება ელექტრონული რესურსები და ვირტუალური ლაბორატორიები, რაც მნიშვნელოვნად ავსებს მატერიალურ ბაზას და ხელს უწყობს ისეთი პროცესებისა და მოვლენების ვიზუალიზაციას, რომელთა სრულად განხორციელება ფიზიკურ სივრცეში ამ ეტაპზე შეზღუდულია. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას, კვლევით ინტერესს და სწავლის შედეგების მიღწევას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>სკოლის მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით, სასწავლო გარემო უზრუნველყოფს რესურსებზე ეფექტიან წვდომას და თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას. მცირე ჯგუფებში მუშაობა და ლაბორატორიული სივრცის გამოყენება ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა უსაფრთხოდ და აქტიურად ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში. |

| | |
|---|---|
| | ამავე დროს, პედაგოგების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სკოლას დაგეგმილი აქვს მატერიალური რესურსების შემდგომი გაუმჯობესება, მათ შორის ლაბორატორიის დამატებითი აღჭურვა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. **რჩევა:** სასურველია ლაბორატორიული რესურსების ეტაპობრივი გაძლიერება, მათ შორის შესაბამისი აღჭურვილობის (მაგალითად, გამწოვი კარადის) დამატება, რაც უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვანი და უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩატარებას. ასევე სასურველია კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს, რომელი ტიპის პრაქტიკული აქტივობები ხორციელდება არსებული რესურსების გამოყენებით და როგორ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების პირობები სასწავლო პროცესში. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების შესასრულებლად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც მატერიალურ სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, ისე ტექნოლოგიურ რესურსებს შემლებისდაგვარად ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br><br>სასწავლო ფართი და ინვენტარი განაწილებულია იმგვარად, რომ მხარდაჭერილია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობა, რაც აუცილებელია მოქალაქეობისა და სხვა საგნობრივი პროექტების ეფექტური რეალიზებისთვის. მატერიალური გარემო ადაპტირებულია და ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. |
| უცხოური ენები | სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკითა და საგაკვეთილო ინვენტარით, რაც სრულად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლაში მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ |

| | |
|---|---|
| | გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრა აღჭურვილია ინვენტარით, ( დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ..) ,რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგს აძლევს საშუალებას საინტერესოდ და მრავლაფეროვნად წარმოაჩინონ შესასწავლი თემა/საკითხი. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. |
| მათემატიკა | მატერიალური რესურსი სრულად პასუხობს კურიკულუმის მოთხოვნებს. მოსწავლეთა რაოდენობის კონტროლი ხელს უწყობს ლაბორატორიული და ციფრული ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას, რაც აუცილებელია კვლევითი უნარების ჩამოსაყალიბებლად. |
| სპორტი | კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. |
| ტექნოლოგიები | სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია სრულად განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. კომპიუტერების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რაც საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად და სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>მასწავლებლები სწავლის შედეგების მისაღწევად  იყენებენ მატერიალურ რესურსებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში, თავად უზრუნველყოფენ.<br>რჩევა: გამოიყოს ბიუჯეტი, რათა დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებმა მეტად შეძლონ ხელშესახები თვალსაჩინობების გამოყენება. |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულია 22 პედაგოგი. (ამათგან 2 მენტორი მასწავლებელი, 3 წამყვანი მასწავლებელი, 12 უფროსი მასწავლებელი, 4 უსტატუსო მასწავლებლი, 1 სპეც.მასწავლებელი ) ამ ეტაპზე 22 პასწავლებლიდან არის 3 მასწავლებლი უფასო შვებულებაში.( 1 მენტორი, 1უფროსი და 1 უსტატუსო)

- 1 პედაგოგი შეთავსებით ასწავლის ქიმიასა და ბიოლოგიას. (დადასტურებული- მენტორი მასწავლებლი ქიმიაში და შეთავსებით ბიოლოგია)
- 1 პედაგოგი შეთავსებით ასწავლის ბუნებასა და ბიოლოგიას.(დადასტურებული აქვს ბუნებისმეტყველება -უფროსი სტატუსი შეთავსებით ბიოლოგია)
- 2 პედაგოგი შეთავსებით ასწავლის ხელოვნებასა და მუსიკას.  (ორივე პედაგოგს დადასტურებუთლი აქვს მასწავლებელს დადასტურებული აქვს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების  უფროსი მასწავლებლი შეთავსებით ასწავლის მუსიკას.
- კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლის სტატუსის მაძიებელი პედაგოგი.

**ვიზიტის შემდგომ სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა გასწორებული ხელშეკრულებები და შესაბამისი ბრძანება შეთავსების შესახებ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასწავლო რესურსების ბაზა და ფოტომასალა*
- *მასწავლებელთა ხელშეკრულებები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენლი დოკუმნეტის,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვთარების მეთოდოლოგია“ შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი. **თუმცა სკოლამ ადგილზე ბრძანება ვერ წამოადგინა.**

ასევე,ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგის ეტაპზე შესაძლოა გამოყენებული იქნას კათედრის ფარგლებში ურთიერთდასწრების მასალები, რაც სკოლამ ადგილზე წარმოადგინა. ასევე ზემოთნახსენებ დოკუმენტში ჩაწერილია,რომ მონიტორინგის პროცესში შესაძლოა გამოყენებული იქნას სკოლის მშობლებისგან მიღებული უკუკავშირი. ვიზხიტიასა ადმინისტრაციასთან და ასევე მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა. რომ გამოკითხვა, მოსაზრებების წარდგენა ხდება ძირითადადზეპირსიტყვიერად.

**რჩევა- მონიტორიგის ისნტრუმენტები წინსაწრ იქნას განსაზღვურლი**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
   კათედრების მასალებზე (ურთიერთდასწრებების,გაკვეთილების მონიტორინგისა და სემესტის შეჯამების თუ სხვა აქტივოებების აღმწერ ოქმებზე) დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ პედაგოგები ცდილობენ განსაზღვრონ პრობლემა და მსჯელობენ წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის ხერხებზე.
3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
   გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ კოლეგების ურთიერთდასწრება ხორციელდება მხოლოდ ერთმანეთის გაძლიერებისა და მხარდაჭერისათვის, კოლეგები აჩენენ მზაობას და აღირებენ კრიტიკული მეგობრის სარგებელს სასწავლო პროცესის გაუჯობესების საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები და თანდართული მასალები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

   სასწავლო პროცესების შეფასება ხდება სემესტრების ბოლოს, კათედრების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და პედსაბჭოებზე, სადაც პედაგოგები წარმოადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და წარუდგენენ კათედრების ხელმძღვანელებს. საბოლოო შეჯამებული ანგარიში მიმდინარე პროცესების შეფასების შესახებ განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე.

   სამწუხაროდ სკოლამ ვერ შეძლო წარმოედგინა სასწავლო პროცესებისა და ხარისხის შეფასების სხვა დოკუმენტი.
2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (კათედრების ოქმები,სადამრიგებლო საათის ოქმები) შესაძლოა ითქვას, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის აღწერაზე.
3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

   სკოლაში ვიზიტისას, მშოლებთან ,მოსწავლეებთან თუ სკოლის წარმოადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვებისთვის ძირითადად ეყრდნობიან ზეპირსიტყვიერ მეთოდს. მაგალითად ზეპირი გამოკითხვა, **ინტერვიუ.თუმცა აღნიშნული მასალების დასტურების წარმოდგენა სკოლამ ვერ შეძლო.**
4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის წარმომადგნელებთან,მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისად აღინიშნა, რომ რეგულარულ შეკრებებზე მუდმივად განიხილავენ სკოლის ,,საჭირბოროტო“ საკითხებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების  დოკუმენტაცია
- სადამრიგებლო საათების/კრებების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ **არ შეესაბამება** |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.**

სკოლის ადმინისტრაციის წევრები მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული სიტყვიერი განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციას. **რჩევა - საურველია რეკომენდაცია იყოს წერილობით ფორმით.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კათედრების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას და დამტკიცებას წინ უძღვის პედაგოგების მიერ წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: მაგალითად შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კათედრების ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სკოლის ფეისბუქ გვერდი და ვებ გვერდი
- პედ. საბჭოს ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი და დირექტორის ანგარიში.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის დოკუმენტები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ და ბრძანება თვითმმართველობის დებულების შესახებ.
- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა პირადი საქმეები და სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრის ანგარიშები;
- მასწავლებლთა სასწავლო ჯგუფების შეხვდრისოქმები;
- პერსონალის პირადი საქმები;
- მართვის სინფორმაციო სისტემის მონაცმები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბრძანება შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ
- საგნობრივი კათედრის ოქმები.
- ბრძანება ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა ტრენინგმოდულების დამადასტურებელი სერტიფიკატები

- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- შენობა-ნაგებობის სქემა;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- მიღება-ჩაბარების აქტები
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშები
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.
- დამრიგებლის დებულება.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სახელმძღვანელოების ან ბუკების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულება
- მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები (იხ. სკოლის ფეისბუქ გვერდი).
- სადამრიგებლო დებულება.
- კვლევის ანკეტა.
- შემაჯამებელი კვლევის ანალიზი.

თარიღი 11.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე ცნობილაძე-  საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -

სალომე არაბიძე- ესთეტიკური ჯგუფის საგნობრივი ექსპერტი

შორენა ტყემალაძე -საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სალომე ცხვედიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

შაქრო ჟღენტი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მარინე ხუციშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თინათინ მარქარაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი